საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი—მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. [illegible]
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადებ.
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. — „

№ 629 შაბათი, ნოემბრის 24, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ახალგაზრდობა

მგონია არ შევცდები თუ ვიტყვი: მეტი ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა დაიბადა, პირველად თვალი გაახილა და ქვეყანას გადახედა ცხრაას 4—5 წლეებში.

ცხრაას ხუთის რევოლიუცია არხევდა მათ აკვნებს და ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი დედა მათა—სოციალიზმი ნანას დამღერდა და ეს იმ დროს, როდესაც მამანი მათნი გულმკერდს უშვერდნენ შავი მტრის შავს მახვილს და სისხლსა ღვრიდნენ თავისუფლებისათვის. განვლო ხანმა და მშობლები თითქოს დამარცხდნენ, მაგრამ შთაბერეს თვის ნაშიერთ შეუდრეკელი სული თავისუფლებისათვის ბრძოლისა. იზრდებოდნენ რევოლიუციის კანონიერი მემკვიდრენნი და სიმწიფის ხანის დასაწყისს მიუსწრო მათ და დაჰქროლა კვლავ სიომ თებერვლისამ. ზამთარი გატყდა, გაზაფხული კარს მოადგა, მაგრამ მზე მისი ჯერ კიდევ სუსტი, მორცხვი ვერ დააკმაყოფილებდა სიცოცხლით სავსე, მჩქეფარე სისხლის მქონე მშრომელთა ახალგაზრდობას. გაზაფხული გვალვიანი გამოდგა, მოსავალი ნაკლები. მეორედ დამუშავება დასჭირდა რევოლიუციის ნიადაგს და შემოდგომით ახალი ნახნავი ახალი თესლით დაითესა.

იჭექა, იგრიალა ოქტომბერმა და მისმა მძლავრმა გრიგალმა შეანძრია ცა და დედამიწა, მოჰყვა ალვარი ყოვლის გამწმენდი ყოვლის გამანოყიერებელი. ამიბინდა მდელო ნორჩი ჯეჯილით, ნორჩი მაგრამ მაგარი, გათამამებული ჯეჯილით. ცეცხლში და ნიაღვარში, ჭექა ქუხილში იშვა—ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი.

იბარტყა ჯეჯილმა, მოედვა მთელს მიწას, მოატანა რევოლიუციის გაზაფხულმა და აიწია მაღლა ჯეჯილმა, ყანად იქცევა, დაჰხარის ახლა უკვე ცადინჯებული დედა მისი სოციალიზმი ღრმად დარწმუნებული, რომ ნორჩი ყანა სრულს თავთავს გაიკეთებს და უხვ მოსავალს მოიტანს.

დიდი პოეტი ილია ჭავჭავაძე უმზერდა ბაზალეთის ტბას, სჭვრეტდა მის სიღრმეს და იქ შიგ ძირში ხილავდა ოქროს აკვანს, სადაც ნორჩი ჭაბუკი ჩასვენილ იყო, ჭაბუკი ერის აღდგენასა, თავისუფლებისა. მაგრამ მშრომელთა სისხლით და თოვლით შერეული ბაზალეთის ტბა ატყუებდა პოეტის თვალს. უფრო დიდმა პოეტმა და შემოქმედმა ისტორიამ ოქტომბრის ბასრი თვალით განწმინდა ბაზალეთის ტბა მშრომელთა სისხლისა და თოვლისაგან და ოქროს აკვანი ფოლადის აკვნათ აქცია და ნამდვილი სახე ნორჩ ჭაბუკისა გამოააშკარავა.

დღეს ჩვენი ახალგაზრდობა ღრმად ჩასწვდება ბაზალეთის ტბას, მაღლა ამოიტანს ფოლადის აკვანს, ამოჰგვრის რევოლიუციით ნაშობს და კურთხეულ წითელ ჭაბუკს, ხელთ მისცემს თვის ტანჯულ მშობელთა წმინდა სისხლით შეღებილ დროშას და გაიძღოლებს წინ—კომუნიზმის გზით. გზა ოდნავ გაკაფულია, მაგრამ რევოლიუციის მზის სხივი თავიდან ბოლომდე აშუქებს მას. ჩვენმა ახალგაზრდობამ ეს გზა გაიკვლია, სწორი გეზი აიღო და მისი ახალგაზრდული აღფრთოვანება, დაუშრეტელი მჩქეფარე ენერგია ძირიანად ამოჰგლეჯს გზაში დარჩენილ ნახევრად გამხმარ ჯირკვებს, დასძლევს ყოველგვარ შეფერხებას და მოსპობს გზა და გზა ჩასაფრებულ შავს მტერს, ხელთ იგდებს თვის კანონიერ მემკვიდრეობას რევოლიუციის მონაპოვარს და გაპოხიერებულ მშობელთა ნაანდერძევ ქვეყანას მოუვლის და უხვ მოსავალს მომკის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ი. გედევანიშვილი.

## ახალ გზით.

ჩვენი პარტიის ეხლახან დასრულებული ყრილობა შეეხო რა ჩვენი პარტიის კომპარტიასთან დამოკიდებულების საკითხს და გააშუქა რა ის ყოველ მხრით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვინაიდან რევოლიუციის პერიოდის მოღვაწეობამ, როგორც პრინციპიალურ, ისე ტაქტიკურ საკითხებში ეს ორი პარტია იმდენად დააახლოვა ერთი მეორეს, რომ მათ შორის განსხვავების ხაზი სრულიად წაიშალა და მასთანვე ვინაიდან რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს ყველა ცოცხალ რევოლიუციონურ ძალების გაერთიანებას, საჭიროა ჩვენი პარტია, შეუერთდეს კომპარტიას, როგორც მთელ ქვეყნების მასშტაბით მომქმედ მრისხანე რევოლიუციონურ ძალას და ამით გაამაგროს რევოლიუციის ფრონტი.

ყრილობამ გამოიტანა ერთსულოვანი დადგენილება კომპარტიასთან გაერთიანების შესახებ და დაავალა მთავარ კომიტეტს ამ დადგენილების ერთი თვის განმავლობაში ცხოვრებაში გატარება.

საკითხავია, რით აიხსნება ეს გარემოება, რომ პოლიტიკურმა პარტიამ, რომელსაც ჰქონდა თავისი დამოუკიდებლად არსებობის ისტორია, თავისი რევოლიუციონური წარსული, საკუთარი შეხედულებანი, ასე უყოყმანოდ, ასე ერთსულოვნად გადასწყვიტა მეორე პოლიტიკურ პარტიასთან დამოკიდებულების საკითხი და აღიარა მასთან გაერთიანების აუცილებლობა?

მემარჯვენე პარტიებს შეეძლოთ რამდენიც უნდოდათ იმდენი ეყვირათ თავისი რიგების კომპარტიისაგან ძალით დაშლის შესახებ, თუმცა ეს მათი ყვირილი არავითარ საბუთებზე არ იყო დაფუძნებული, მაგრამ დღეს როდესაც ჩვენი პარტიის კომპარტიასთან გაერთიანების საკითხი უკვე გადაწყვეტილი, როდესაც სამი წლის განმავლობაში რევოლიუციონურ ფრონტზე ერთსულოვნად მუშაობის შემდეგ ჩვენი პარტია უერთდება კომპარტიას, მემარჯვენე პარტიების დემაგოგიასაც კი ყოველნაირი საფუძველი გამოცლილი აქვს და მათ ეს გაერთიანება არ შეუძლიათ ახსნან ჩეკას გინდა სხვა ორგანოების ძალდატანებით.

ჩვენ არ ვიცით, რით ახსნიან ჩვენი ცხოვრებიდან გარიყული ჩვენი უბადრუკი მემარჯვენე „პოლიტიკოსები“ ამ მოვლენას, მათი მორიგი ჭორები ამის შესახებ ჯერ არ მოგვისმენია, მაგრამ ცხადია, რომ საბუთები მათი ამის შესახებ კიდევ მეტად სასაცილო და უაზრო იქნება, ვინემ იყვენ აქამდე.

თავი დავანებოთ ჩვენ იმას, თუ რას იტყვიან ამის შესახებ ჩვენი პოლიტიკური მტრები და მოკლედ შევეხოთ იმ მიზეზებს, რომლებმაც მოამზადეს ნიადაგი ჩვენი და კომპარტიის გაერთიანებისათვის.

რასაკვირველია, ეს საკითხი არ იყო ერთი და ორი დღის საქმე, ის არ დასმულა ჩვენი ამხანაგების წინაშე არც კონფერენციის და არც ყრილობის გახსნის დროს, არამედ გაცილებით უფრო ადრე. სამი წლის საერთო რევოლიუციონურმა მუშაობამ საქართველოს მასშტაბით იმდენად დააახლოვა ეს ორი პარტია ერთი მეორესთან, რომ ხშირად ჩვენ ამხანაგებს, მემარცხენე ს.-ფედერალისტებს, საერთო ლაპარაკის დროს გვითქვამს ერთმანეთისთვის, რომ რევოლიუციის ინტერესების უზრუნველსაყოფად საჭიროა ყველა რევოლიუციონური ძალების ერთ მთლიან ორგანიზაციაში გაერთიანება, მაშასადამე საჭიროა ჩვენი და კომპარტიის გაერთიანებაო.

ერთის შეხედვით ეს მხოლოდ მშრალი სიტყვებია და მეტი არაფერი, მაგრამ ვისაც უმუშავია პოლიტიკურ პარტიაში წმინდა გრძნობებით და ფაქიზი რწმენით, ვინც შესისხლ-ხორცებია თავის პარტიას იდეალებით, პრინციპებით ყოველნაირი პოლიტიკური საკითხეკის გაგებით, მისთვის ნათელი იქნება, თუ რამდენად ცხოველი უნდა იყოს ის რევოლიუციონური გავლენა, რომელიც აიძულებს ერთი პარტიის წევრს შეუერთდეს მეორე პარტიას, და მართლაც რევოლიუციონური გავლენა კომინტერნისა და კომუნისტური პარტიისაგან წარმოებულ პოლიტიკისა ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ იმან არამც თუ მიგვიყვანა ჩვენს საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი და თეორიულად მონათესავე პარტია კომპარტიასთან, არამედ ამ გავლენამ დაანგრია და მიწასთან გაასწორა რუსეთში მომქმედი ყველა წვრილი ბურჟუაზიული მიმართულებანი, ჩაძოაშორა რა მათ ყველა მშრომელი, ყველა რევოლიუციონურად განწყობილი ელემენტები.

ჩვენ გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი კომპარტიაში გადასვლა სრულებითაც არ აიხსნება ჩვენი პარტიის თეორიული საფუძვლების სიყალბით და კომპარტიის თეორიული საფუძვლების ცხოველმყოფელობით (ამით ჩვენ არ უარვყოფთ სრულებით კომპარტიის ცხოველმყოფელობას), პირიქით ცხოვრებამ და რევოლიუციამ ბევრი ჩვენი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე გაამართლა, მაგრამ სიბრძნე კომპარტიის მიერ წარმოებულ პოლიტიკისა გამოიხატება იმაში, რომ მან შესძლო თავი მოეყარა და შეექმნა სინტეზი ყველა რევოლიუციისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ დებულებათა.

რუსეთის რევოლიუციის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ არაფერი ისე არ ავნებს რევოლიუციის მსვლელობას, როგორც გაყინული დოგმატიკოსობა. პოლიტიკურ პარტიას, თუ კი მას სურს, რომ იმყოფებოდეს რევოლიუციის ავანგარდში, უნდა შესწევდეს გაბედულება მოქნილი პოლიტიკის წარმოებისა, ის არ უნდა შეუშინდეს ახალ აზრის მიღებას და ძველი აზრის უარყოფას ამა თუ იმ საკითხზე თუ კი ეს საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ელემენტების რევოლიუციის ფერხულში ჩასაბმელად, თუ კი ეს საჭიროა იმისათვის, რომ თვით პარტია არ ჩამორჩეს რევოლიუციის მსვლელობას. პარტია არ უნდა შეუშინდეს თავისი ძველი შეცდომების აღიარებას, თუ კი ასეთი მას მოეპოვება. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ შესძლო ამ მძიმე ამოცანის გადაწყვეტა და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეს პარტია მოექცა რუსეთის რევოლიუციის სათავეში, ფეხი მოიდგა მთელ დედამიწის ზურგზე და მისი ძლიერება შიშის ზარსა სცემს ყველა რევოლიუციის მტრებსა და ორგულებს.

ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ ჩვენი პარტიის ბევრი შეხედულებანი გაამართლა ცხოვრებამ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ჩვენ „უცოდველი პაპი“ ვიყოთ და არავითარ შეცდომას ჩვენს პროგრამულ დებულებებში ადგილი არ ჰქონია. ცხოვრება რთული მოვლენაა და მისი მსვლელობის გათვალისწინება ქვევანაზე შეუძლებელია ისე, რომ ამ გათვალისწინებაში შეცდომები არ დაუშვა, მაშასადამე არ შეეძლო არც ჩვენს პარტიას მისი გათვალისწინება უშეცდომოთ. ჩვენს ყრილობაზე ჩვენმა ამხანაგებმა აღნიშნეს ეს შეცდომები, უმთავრესი მათ შორის არის ის, რომ ჩვენი პარტია არ აძლევდა გადამწყვეტ მნიშვნელობას ეკონომიურ ურთიერთობას, მაგრამ როგორც უკანასკნელმა რევოლიუციებმა და ჩვენს წინაშე გაშლილმა საერთაშორისო ურთიერთობამ დაამტკიცა, ეკონომიური მდგომარეობა აძლევს მიმართულებას ისტორიის მსვლელობას. ეს მემარც. სოც. ფედერალისტებს გვქონდა გათვალისწინებული იმ თავითვე. ამ აზრს სავსებით ვიცავთ დღესაც და ამით ვიყრდნობით მარქსისტულ თვალსაზრისზე.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იმ პირობების შესახებ, რომლებმაც მოამზადეს ნიადაგი ჩვენი და კომპარტიის გაერთიანეაისათვის და ამიტომ ამ პირობების აქ ჩამოთვლას აღარ შეუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ გაერთიანებას ხელს უწყობდა მიღება კომპარტიის მიერ ზოგიერთ იმ თეორიულ დებულებათა, რომლებზედაც ჩვენ ვიყავით აღზრდილნი და, მეორე მხრით კი ის, რომ ჩვენ გავნთავისუფლდით ბევრ ისეთ ჩვენ პარტიულ შეხედებულებათაგან, რომლებიც ცხოვრებამ არ გაამართლა. ამნაირად რევოლიუციის მსვლელობამ ჩვენ და კომპარტია გამოგვიყვანა ერთ გზაზე, ჩვენი გზები შეერთდენ დი ამიერიდან ჩვენ ამ გზაზე უნდა ვიდგეთ განუყრელად. ეს არის ჩვენი ახალი გზა.

ი. ვადაჭკორია.

## პრესა

**„პერსონალური ჯამაგირები და შრომის ხელფასის მაქსიმუმის მოსპობა“.**

ამ სათაურით გაზ. „კომუნისტში“ დაბეჭდილია ამხ. ს. გ—ს წერილი მოსკოვიდან მოგვყავს უცვლელად.

„საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ („СТО“) მიიღო დადგენილება პერსონალური ჯამაგირების და სპეციალური დავალებების ჯილდოს გაცემის შესახებ. დადგენილება ეხება სახელმწიფო და შერეულ სააქციონერო საზოგადოებების ორგანოებში მომუშავეთ. მას მიზნათ აქვს შეიტანოს ერთგვარი მიზანშეწონილობა პერსონალური ჯამაგირების დანიშვნაში და ამით მოსპოს ის ზედმეტი ხარჯები, რომელსაც დიდი ჯამაგირების უხვად დანიშვნა იწვევს. ამ დადგენილების გატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ ბოლო დროს სპეცების რიცხვი ძლიერ გამრავლდა. სპეცებათ ნათლავენ ყველას, ვისთვისაც სურთ დიდი ჯამაგირების მიცემა, იმისდა მიუხედავათ არიან ისინი სპეციალური ცოდნით აღჭურვილნი თუ არა. ყველაზე უფრო ბოროტათ იყენებენ სპეცს სახელწოდებას სამეურნეო ორგანოებში (ტრესტებში, სავაჭრო ორგანოებში, ბანკებში). იქ მომუშავე მომუშავე მოსამსახურეთა რიცხვის 50—60 პროც. სპეცებათ ითვლებიან. ხშირია შემთხვევები, როცა უბრალო მოანგარიშე და კანტორის მოხელე სპეცების რიცხვში არიან მოქცეულნი და პერსონალურ ჯამაგირს იღებენ, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის მომუშავენი.

აქამდი არსებული წესით, დაწესებულების ხელმძღვანელი თვით უნიშნავდა პერსონალურ ჯამაგირს ამა თუ იმ მოსამსახურეს შრომის ხელფასის სახელმწიფო მაქსიმუმის ფარგლებში. არ იყო განსაზღვრული, თუ ამ ორგანოს საერთო სამუშაო ხელფასის თანხების რამდენი ნაწილი შეიძლება შეიძლებოდა დახარჯული ყოფილიყო პერსონალურ ჯამაგირებზე და რაიმე განსაკუთრებულ სამუშაოს დასაჯილდოებლათ. ეს კი თავისუფლებას აძლევდა დაწესებულების ხელმძღვანელს სპეცების რიცხვის განსაზღვრაში. ამიტომ თითქმის ყველგან „სპეცების“ რიცხვი მოსამსახურეთა საერთო რიცხვთან შედარებით ფრიად დიდია.

ახალი წესის შემოღება ბოლოს უღებს იმ თვითნებობას პერსონალური ჯამაგირების დანიშვნაში, რომელსაც აქამდე ჰქონდა ადგილი. თვითეულ ორგანოსათვის (სახელმწიფოს და შერეულ სააქციონერო საზოგადოებების, სახელმწიფო კაპიტალის გადამეტებით) წესდდება განსაზღვრული ფონდი სპეცების ჯამაგირებისათვის. ფონდი წარმოადგენს ამ დარგში არსებულ სამუშაო ხელფასის თანხების განსაზღვრულ პროცენტს. თუ რამდენი უნდა იყოს ის კერძოთ თვითეულ დაწესებულება-წარმოებისათვის, ამას აწესებს შრომის კომისარიატთან არსებული კომისია, სადაც შედიან შრომის, ფინანსთა და გზათა კომისარიატების, სამეურნეო საბჭოსა და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები. თვით პერსონალური ჯამაგირების დანიშვნა რჩება ორგანოს ხელმძღვანელის უფლებაში, მაგრამ ფონდის იმ ფარგლებში, რომელიც ამ ორგანოსათვის არის მიღებული. ამით დაწესებულების ხელმძღვანელი იძულებული იქნება პერსონალური ჯამაგირები დაუნიშნოს მხოლოდ უმაღლეს კვალიფიკაციის მომუშავეთ და არა ფაქტიურ სპეცებს თვითეული ინდივიდუალური ხელშეკრულება, უმაღლეს კვალიფიკაციის მომუშავეებთან დადებული, უნდა გატარდეს შრომის კომისარიატის ორგანოების რეგისტრიციაში.“

ამ წესის მიღებით ისპობა შრომის ხელფასის მაქსიმუმი, რომელიც არსებობდა სახელმწიფო წარმოება დაწესებულებათა მომუშავეების ჯამაგირების განსასაზღვრავათ.

## [illegible]

(„ზაკროსტას“ ცნობები 23 ნოემბრიდან).

— გერმანეთში განზრახულია შრომის ბეგარის შემოღება.

— კარისა და კნილინგის მთავრობის შორის [illegible] წყდება.

— პურის ფასი ბერლინში ოქროს ანგარიშზედ წესდება.

— შტრეზემანი ჰპირდება საქსონიიდან რეიხსვერის გამოყვანას.

— პარიზს გაემგზავრა გერმანეთის დელეგაცია.

— სოც.-დემ. რეიხსტაგში წინადადება შეიტანეს—გაუქმებულ იქნეს სამხედრო და საალყო წესები

— საალყო წესების გაუქმება კონფლიქტს გამოიწვევს ბავარიასთან.

— რეიხსბანკმა შესწყვიტა დროებითი ბონების მიღება.

## პრესის მიმოხილვა

### დროა განვიმეორროთ

მოსკოვი. 22 ნოემბ. გაზეთ „იზვესტია“-ში ამხ. სტეკლოვი სწერს:

„პარტიულ საკითხების შესახებ წარმოებულ დისკუსიის გამო, რომელიც შედეგათ მოყვა ამხ. ზინოვიევის წერილს, ისმება საკითხი, რატომ არ უნდა მოვიწვიოთ ჩვენ კომპარტიის რიგებში ის უპარტიო პროლეტარები, რომელნიც პოლიტიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების მხრივ არ ჩამოუვარდებიან პარტიულ ამხანაგებს, და აგრეთვე სხვა უპარტიო მუშები, რომელნიც არსებითად სდგანან ჩვენს პოზიციაზე? ფართო მშრომელ მასების სიმპატიებისა და ნდობის გასინჯვა, რომელიც გავატარეთ ჩვენ 1919 წელში—მეტათ მძიმე მომენტში, დიდის წარმატებით დამთავრდა, რატომ არ უნდა მოვახდინოთ ჩვენ ასეთი გასინჯვა საბჭოთა რესპუბლიკის უდიდეს საგარეო და საშინაო გამარჯვებების მომენტში?

ჩვენ ვდგევართ ახალ სერიოზულ ამბების შესაძლებლობის წინაშე. ყველამ იცის იმ ეკონომიურ კრიზისის შესახებ, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა ფედერაციას. ორი წლის დასვენების განმავლობაში რესპუბლიკამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ საერთოდ გაამართლა თავისი თავი: მან ასწია ქვეყნის ნაყოფიერება და გააუმჯობესა მუშების მდგომარეობა. მტრულათ განწყობილმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა აშკარათ აღიარეს თავისი გაკოტრება. მტრებიც კი აღნიშნავენ იმას, რომ საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობა გამტკიცდა, ბუნებრივათ იბადება აზრი იმის შესახებ, რომ გატარებულ იქნეს მშრომელ მასების სიმპატიებისა და ნდობის ახალი გაშინჯვა; საჭიროა გამოირკვეს ამ მასების დამოკიდებულება კომპარტიისადმი, რომელიც რევოლიუციის მესაჭეთ გახდა.

ობიექტიური ნიადაგი ასეთი „პარტიული კვირისთვის", უეჭველათ, მომზადებულია. ის მომზადებულია აგრეთვე ფსიხოლოგიურათ და სუბიექტიურათ, რასაც ამოწმებს მუშათა მასების ლტოლვა პარტიისაკენ. ოქტომბრის წლის თავზე ეკატერინბურგის გუბერნიაში პარტიაში შევიდა 806 მუშა, პერმის გუბერნიაში 545 და ნიჟეგოროდის გუბერნიაში კი თითქმის 2000. ეს ამტკიცებს იმას, რომ ნიადაგი უკვე მომზადებულია პარტიაში ახალი წევრების მიღებისათვის; ამიტომ აუცილებელია ორგანიზაციულათ იქნეს გაშინჯული და გაიტკიცებული შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობა.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ასეთი კამპანიის გატარება საერთო რესპუბლიკანურ მასშტაბით დიდ შედეგებს გამოიღებს და ის მეტათ ასწევს პოლიტიკურ განწყობილებას მთელს ფედერაციაში. ჩვენი პარტიის 400 000 წევრი მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობაა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენი პროლეტარიატი შედარებით მცირერიცხოვანია მაგრამ ჩვენს პარტიას შეუძლია კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყვეს. ჩვენ არ მიგვიღია ყველა ზომები იმისათვის, რომ ჩაგვება ჩვენს ორგანიზაციაში შესაფერი პროლეტარული ელემენტები. ამ მხრივ საჭირო იქნება მთელ რიგ კამპანიების გატარება და პარტიაში ახალ წევრების მიღება.

ჩვენ ვაცხადებთ ამას პარტიულ წრეების საყურადღებოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ პარტიის ცეკა საჭიროთ დაინახავს „პარტიულ კვირის" განმეორებას, მაშინ ის არა ნაკლებ ბრწყინვალე შედეგებს გამოიღებს, ვიდრე ეს იყო 1919 წელში, რადგან ჩვენი პროლეტარიატი 4 წლის განმავლობაში პოლიტიკურათ ძალიან გაიზარდა, მასთან ერთად კი გაიზარდა მთელი ქვეყანაც".

## გერმანეთის ამბები

**უმუშევართა მდგომარეობა გერმანეთში.**

შრომის სამინისტროს განკარგულებით, უმუშევრებმა უნდა გამოისყიდონ მათთვის დარიგებული დახმარება, რისთვისაც შემოღებული იქნება შრომის ბეგარა. განზრახულია უმუშევრები გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო მუშაობისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრის, იარრესის პროექტათ, რეინის ოლქისათვის ფინანსიური დახმარების მოსპობით განთავისუფლებული თანხა გადავა უმუშევართა დახმარების ფონდში. სპეცუალურ კრედიტების გაცემა სწყდება, რითაც საკმარისად შემცირდება გასაცემ დახმარების რაოდენობა.

**კარის ბრძოლა კნილინგის მთავრობასთან.**

კარის ბრძოლა კნილინგის მთავრობასთან მწვავდება. „სამშობლოს დაცვის კავშირები" მოითხოვენ ლიუდენდორფის წინააღმდეგ გამოსულ, ბავარიის სარწმუნოების მინისტრის, მატტას გადაყენებას.

**ლანდტაგის მოწვევის წინააღმდეგ.**

ბავარიის მთავრობა წინააღმდეგია ლანდტაგის მიწვევისა, რის გამოც ფიქრობენ, რომ სოც.-დემ. უარს იტყვიან ლანდტაგის მოწვევის მოთხოვნილებისაგან.

**უმუშევართა შეტაკება პოლიციასთან.**

ლიგნიცში (სილეზია). უმუშევარ დემონსტრატების პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლულია ორი, ხოლო ბევრია დაჭრილი.

ბერლინში უმუშევრები შეეცადნენ სასურსათო სავაჭროების დარბევას, რის გამოც მათ ბევრ ადგილას შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან.

**პურის ფასის—ოქროს ანგარიშზედ.**

პურზედ ფასი ოქროს ანგარიშზედ წესდება.

**შტრეზემანის დაპირებანი.**

რეიხსტაგის დეპუტატი, სოც.-დემ. მიულლერი მოლაპარაკებას აწარმოებს შტრეზემანთან, რომელიც ჰპირდება 28 ნოემბრისათვის გაიყვანოს საქსონიიდან რეიხსვერი და სამხედრო—საველე წესები შესცვალოს სამოქალაქო მართებლობით.

**გერმანეთის მრეწველთა მოლაპარაკება.**

სტინესის პრესა იუწყება, რომ ოთხშაბათს განახლდა მოლაპარაკება გერმანეთის მრეწველთა და საფრანგეთის ინჟენერთა კომისიის შორის.

**საფრანგეთი არ ისვენებს.**

დიუსელდორფში მოულოდნელად ჩავიდა საფრანგეთის მარშალი პეტენი

**გერმანეთის დელეგაცია პარიზში.**

ოთხშაბათს პარიზს გაემგზავრა გერმანეთის დელეგაცია, რომელშიაც შედიან: სტატს-სეკრეტარი ფიშერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი სიმონი და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები ბრანდტი და შეფფერი. დელეგაცია მოხსენებას გააკეთებს გერმანეთის ფინანსიურ—ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

**მემარჯვენე პრესა ბრაზობს.**

მემარჯვენე პრესამ გაილაშქრა ლებეს წინააღმდეგ, რომელმაც არ გასცა ბრძანება ძალით გაეყვანათ რეიხსტაგიდან ობსტრუქციის მომხდენი კომუნისტი რემმელი და, რომელიც დაკმაყოფილდა მარტო იმით, რომ რემმელს გამოუცხადა 20 სხდომიდან დათხოვნა. მემარჯვენე პრესა გადამწყვეტ ზომებს თხოულობს კომუნისტების წინააღმდეგ.

**სოც.-დემ. მოხწონთ.**

სოც.-დემ. იწონებენ ლებეს ქცევას, ხოლო გამოსთქვამენ შიშს, რომ კომუნისტები შემდეგშიაც განაგრძობენ ობსტრუქციებს.

**ტკბილად მღერიან.**

სოც.-დემ. რეიხსტაგში შეიტანეს შემდეგი წინადადებები: გაუქმებულ იქმნეს განკარგულება შტატების შემცირების შესახებ, გაუქმებულ იქმნეს სამხედრო და საალყო წესები და აღდგენილ იქნეს კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

**ბავარიის საალყო წესებისათვის.**

სოც.-დემ. მიერ რეიხსტაგში, ბავარიაში სამხედრო და საალყო წესების გაუქმების შესახებ, შეტანილ წინადადების გამო, ბავარიის წარმომადგენელმა ბერლინში პრეგერმა განაცხადა, რომ საალყო წესების გაუქმება კონფლიქტს გამოიწვევს ბავარიასთან.

**ცეიგნერის საქმე.**

კვლევა-ძიება ცეიგნერის საქმეზე გრძელდება. საქსონიის კომუნისტური გაზეთი „საქსონიის მუშური გაზეთი" სწერს: „კომუნისტებისათვის ცეიგნერი, როგორც მუშათა რევოლიუციის მოღალატე, პოლიტიკურად მკვდარი ფიგურაა. სოც.-დემ მას ბრალს სდებენ მხოლოდ პარტიულ-პოლიტიკურის მიზნით".

**გერმანეთის სესხი.**

შტრეზემანი გაემგზავრა ამსტერდამში სესხის შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად.

**დროებითი ბონების მიღების შეწყვეტა.**

რეიხსბანკმა ცირკულიარულად წინადადება მისცა თავის განყოფილებებს, შესწყვიტოს თემებისა, სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვ. მიერ გამოცემული დროებითი ბონების მიღება. რეიხსბანკი აღნიშნავს, რომ მათი გადაცვლა გერმანეთის ვალიუტაზე უნდა მოახდინოს იმ დაწესებულებამ, რომელმაც გამოსცა იგი.

**მუშების მოთხოვნილება ხელფასის ოქროზედ ანგარიშის შესახებ.**

ლითონის მრეწველთა კავშირმა უარი უთხრა მუშებს ხელფასი უანგარიშოს ოქროს ვალიუტით. მელითონეთა კავშირმა შრომის სამინისტროს მიმართა თხოვნით, იკისროს მან შუამავლობა. ამის გამო, „ფორვერტსი" მუშებს მოუწოდებს, ემზადდენ დიდი ხნის ბრძოლისათვის.

პროფკავშირთა წარმომადგენლების მოლაპარაკებას მთავრობასთან, რათა მთელს გერმანეთში ხელფასის მიცემა სწარმოებდეს ოქროს ანგარიშით, შედეგად მოჰყვა ის, რომ მთავრობა დასთანხმდა არა კვალიფიციურ მუშებს საათში მისცეს 20 ოქროს პფენინგი, ხოლო პროფკავშირებმა მოითხოვეს მათთვის საათში 50 პფენინგი.

**გერმანეთის კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის კრება.**

20 ნოემბერს ბერლინში შესდგა გერმანეთის კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის არალეგალური კრება, რომელსაც დაესწრო 2500 პასუხისმგებელი მომუშავე. პროფკავშირთა მდგომარეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში გეშკემ ორგანიზაციულ მუშების მასიური გასვლა პროფკავშირიდან ახსნა პროფკავშირის ხელმძღვანელების რეფორმტული პოლიტიკის უკმაყოფილებით. ბერლინის კავშირს, რომელიც აგვისტოში ითვლიდა 168.000 წევრს, ახლა შეჰრჩა მხოლოდ 55.000 წევრი. პროფკავშირთა წევრების რიცხვის შემცირება ნაწილობრივად მუშათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობითაც აიხსნება, რადგანაც ბევრს საშუალება არა აქვს გადაიხადოს საწევრო გადასახადი. გერმანეთის პროფკავშირთა გაერთიანების 250 ოპოზიციონურად განწყობილი [illegible] ყრილობა, რომელიც უნდა მოწვეულ იქმნენ 28 ნოემბერს ვეიმარში. [illegible] ხოვს პროფკავშირთა კონგრესის მოწვევას ორი კვირის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ მოიწვევს კონგრესს დამოუკიდებლად. კომუნისტები შემდეგ პროგრამას უყენებენ კონგრესს: დაიშალოს მრეწველებთან „საქმიან თანამშრომლობის" ორგანიზაცია, დაარსდეს წარმოებითი კავშირები, შემცირდეს საწევრო გადასახადი, ფაბკომები ჩაირიცხნენ პროფორგანიზაციებში. კომუნისტ შუმახერის წინადადებას, დაუყოვნებლივ დაარსდეს წარმოებითი კავშირები პროფკავშირებიდან გამოსულ მუშათა გასაერთიანებლად, დამსწრენი დიდის მოწონებით ჰხვდებიან.

**რეიხსბანკის ახალი დირექტორი**

პარიზის ცნობით, რეიხსბანკის დირექტორად დაინიშნა შახტი.

**პოლიციის შეტაკება სეპარატისტებთან**

პარიზის ცნობით, დიუსელდორფში პოლიციას შეტაკება მოუხდა სეპარატისტებთან.

**ახალი კოალიციის გარშემო**

ბერლინიდან პარიზში მიღებულ ცნობით, გერმანეთის კაბინეთი განიხილავს გერმანეთში საალყო წესების გაუქმების საკითხს. შტრეზემანი მოითხოვს რეიხსტაგის ხდომას. რეიხსტაგის წრეებში ბურჟუაზიული პარტიები შესაძლებლად სცნობენ კოალიცის დაარსებას, რომელშიაც შევლენ ცენტრისა, დემოკრატებისა და სოციალისტების წარმომადგენელნი. კანცლერის თანამდებობაზედ ასახელებენ ვიურტემბერგის პრეზიდენტს.

## უცხოეთი

**ერთიანი მუშურ-გლეხური პარტიის პროექტი.**

**ტოკიო.** (იაპონია). ოსაკაში გაფიცვების ტალღა გავრცელდა მთელ რიგ წარმოებებზედ, მათ რიცხვში უმაცუოკის საფეიქრო ქარხანაზედაც. შრომის გენერალური ფედერაცია აქტიურად მხარს უჭერს ამ მოძრაობას. დღეს (20 ნოემბერს) ოსაკაში შესდგება იაპონიის შრომის გენერალურ ფედერაციის მიერ, სახელმწიფო წარმოებათა მუშების კავშირთან შეთანხმებით, მოწყობილი საპროტესტო მიტინგები კამეიდოში მასიურ მკვლელობათა გამო.

გუშინ შესდგა იაპონიის შრომის გენერალურ ფედერაციის ცეკას თათბირი. განსახილველი იყო მუშათა და გლეხთა გაერთიანებულ პარტიის დაარსების საკითხი, რომელშიაც 35.000 წევრი.

**ბოლგარეთის ეროვნულ კრების არჩევნები.**

**ვენა.** ბოლგარეთიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობების თანახმად, ბოლგარეთის ეროვნულ კრების არჩევნების შედეგი ასეთია: მთავრობის კანდიდატებმა მიიღეს 185 მანდატი, ხოლო ოპოზიციის კანდიდატებმა—2. არჩევნების წინა დღეს ბოლგარეთის ზოგიერთ ადგილებში მცხოვრებლებს შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან.

**ინგლისის ლიბერალთა საარჩევნო მანიფესტი.**

**ლონდონი.** ლიბერალური პარტიის გამოქვეყნებული საარჩევნო მანიფესტი ჰგმობს მთავრობის საგარეო პოლიტიკას, მის პროტექციონისტულ განზრახვებს და მუშათა პარტიის წინადადებას გადა-



## ლენინი

არიან სახელები, რომლებიც მეტს ეუბნებიან თავის თანამედროვეთ ვიდრე ათეული ტომები მეცნიერულ ტრაქტატებისა, რომლებიც ყველა პროგრამებზე მეტად შინაარსიანია, რომლებიც კანდელივით ანათებენ და უჩვენებენ კაცობრიობას მის მერმინდელ გზას. ასეთი ბელადები ცოცხალი განხორციელება არიან საუკეთესო თავის თანამედროვეთა ვნებების, გმირობის, მისწრაფების, ძიების, ოცნების და აღმაფრენის. პროლეტარიატისათვის, რომელიც ემზადება დაიპყროს მთელი მსოფლიო, ასეთი სახელია ლენინი.

ლენინი—არა მარტო საყვარელ ბელადის სახელია, ეს არის პროგრამა და ტაქტიკა, რწმენის კატეხიზის და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ერთ და იმავე დროს.

ლენინი—ეს სიძულვილია, ადამიანისაგან ადამიანის დამონების და ექსპლოატაციისადმი, ანთებული სიძულვილი,—ესაა სიძულვილი ყველა ცრუმორწმუნოებისა და მათი მღვდელთმსახურების მიმართ. ლენინი—ეს ყოვლად შემძლე მატერიის მცნებაა, რომელიც უარჰყოფს ყოველივე ზე-ბუნებრივს და ღვთაებრივს. ლენინი—ეს წმინდა შემეცნების სამეფოა, რომელიც უკუაგდებს მისტიკას.

ლენინი - ეს ძველი ქვეყნის წინააღმდეგ თავაღებულ ბრძოლის მოწოდებაა, მაგრამ ამასთან ამ ბრძოლის ტაქტიკაცაა. უარყოფაა ყოველნაირ კომპრომისის, ყველა ნახევარზომების, ყოველგვარ შემთანხმებლობის, მაგრამ იმავ დროს აღიარებაა დრო და დრო მიხვევის, მანევრის და უკანდახევის აუცილებლობის—ყოველივე ეს განსახიერებულია სიტყვა ლენინში.

ლენინი—ეს უსაზღვრო გატაცებაა მეცნიერებით და ტეხნიკით, ეს მისწრაფებაა ადამიანის შრომის შეცვლისაკენ ელექტრონით, რადიოთი, შეიძლება შინაგან ატომიურ ენერგიითაც კი. ლენინი—სიმბოლოა ელექტროფიკაციის, მელიორაციის და მძლავრ ტრაქტორის. ლენინი—ეს უარყოფაა ყოველგვარ რწმენის, გარდა რწმენისა შრომის გარდუვალ გამარჯვებაში კაპიტალზე, ყოვლად შემძლე მაშინისა ბუნებაზე. ლენინი—რა არის ამ სიტყვაში მებრძოლ პროლეტარიატისათვის!? ყველა პრობლემები პოულობენ თავის გადაჭრას ამ სახელში' მწვავე სიძულვილი ვიწრო ნაციონალიზმისადმი, მილიტარიზმისადმი, გაბატონებული ექსპლოატატორულ კლასთა სისხლის მღვრელ ომებისადმი; მთელ დედამიწის მშრომელთა ძმობის გრძნობები, რა ენაზედაც არ უნდა ლაპარაკობდენ ისინი ან რა ფერისაც არ უნდა იყოს მათი კანი,—ყოველივე ეს განსახიერებულია ამ ერთ სახელში.

თუ სიმართლეა, რომ სილამაზე კონტრასტებშია, მაშინ ლენინი უმაღლესი სილამაზეა მსოფლიოსი, რადგან იგი—განსახიერებაა მოჩვენიბო[illegible] წინაალმდეგობათა, რადგან ლენინი—ესაა დინამიკა და დიალექტიკა პროლეტარიატისა.

ლენინი—ესაა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, მაგრამ ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკაცაა; ეს 25 ოქტომბრის შტურმია და ბრესტის ზავი; ეს „პოდპოლიე"-ა, დაუბოლოებელი ოცდახუთი წლის „პოდპოლიე" და ემიგრაცია, ციხე, გადასახლება და გაქცევა, „კრუჟკოვშჩინა" და წვრილი პარტიული მუშაობა; მაგრამ ეს დიქტატურაა, უმაგალითო თავის სისასტიკით, ეს მაგარი რევოლიუციონური ხელისუფლება და ამაყი წითელი კრემლი, რომელიც უკარნახებს თავის ნებას შეშინებულ კაპიტალისტურ ქვეყანას.

ლენინი ეს ტანჯვაა იდეისათვის; ეს—პროლეტარიატისათვის სისხლიდან დაცლაა; ეს ბრძოლაა ყოვლად აუტანელ პირობებში, უპუროთ, [illegible] ყალოთ, უსინათლოდ და უთეთრეულოთ; ბრძოლა მთელი მსოფლიოს კბილებამდე შეიარაღებულ მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ლენინი ტილთან ბრძოლაცაა, ბიუროკრატიზმთანაც, ბრძოლაა მუშათა გაზეთებში გრძელ წერილებთან და ყრილობებზე გრძელ რეზოლუციებთან.

ლენინი ეს საფუძვლამდი ნგრევის სიმბოლოა, ყველა ღირებულებათა უყოყმანოთ ნგრევის გამარჯვების ძისლწევათ; მაგრამ ეს მეურნეობის სიმბოლოცაა, შრომის ნაყოფიერების აწევის და თითეულ სახალხო კაპიკის მომჭირნეობის.

ლენინი—ეს თანამოაზრეთა ვიწრო წრეში ჩაკეტვაა—სწორ რევოლიუციონურ მარქსისტთა წრეში, ეს—შექმნაა ფრაქციის, რომელიც ეტევა ერთ დივანზე, ეს „რასკოლნიკობა" და „სექტანტობაა"; მაგრამ ლენინი იმავ დროს მებრძოლთა მილიონების მასების შემჭიდროებაა ჩრდილოდან სამხრეთ პოლიუსამდე, ეს მთლიანი კომუნისტური პარტიაა წითელ დედამიწის ბურთის.

მაშ გაუმარჯოს ამხ. ლენინს!

ი. ლიტვინოვი.

...ახადების შემოღების შესახებ. დანარჩენ საკითხებში მანიფესტი წააგავს მუშათა პარტიის პროგრამას. უკანასკნელის მსგავსად, ლიბერალები წინადადებას იძლევიან გაფართოვდეს საზოგადოებრივი სამუშაოები, მოხდეს სოციალურ დაზღვევის რეორგანიზაცია, მოითხოვს სქესთა პოლიტიკურსა და კულტურულ უფლებებში გათანასწორებას, სოფლის მეურნეობისათვის სესხის მიცემას, ბინების ალმშენებლობის გაფართოებას და კანტროლის შემოღებას მაგარ სასმელებზედ. საგარეო პოლიტიკაში ლიბერალები ემხრობიან ერთა ლიგის დახმარებას და ევროპის ეკონომიურ აღორძინებას სთვლიან აუცილებელ პირობად მთელი ქვეყნის მრეწველობის ასაღორძინებლად. ლიბერალები ჰპირდებიან მიესალმნენ და დაეხმარნენ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას...

თითქოს ლიბერალთა მანიფესტის საპასუხოდ, ბალდვინმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლიან უცადოთ ევროპის საკითხების ლიკვიდაციას. ჩვენ იძულებული ვართ ჩვენს თავზედ ვიზრუნოთ. ჩვენი მრეწველობა ზარალსა ჰხედავს სხვა ქვეყნების მხრით, რომელთაც შემოიღეს ალკრძალვითი ტარიფები“.

**კომუნისტურ ჟურნალის რედაქტორი—კანდიდატი.**

**ლონდონი.** ინგლისის კომუნისტები საერთო არჩევნებში სხვა კანდიდატთა შორის აყენებენ კომუნისტურ ჟურნალის „კომუნისტ რევიუ“-ს რედაქტორს, ვილიამ პაულს, რომელიც მანჩესტერის ერთ-ერთ ოლქში გამოდის მუშათა პარტიის სახელით.

**ს. ს. რ. კ. გარეშე საქმეთა კომისარიატის ბეჭდვითი განყოფილების განცხადება**

**მოსკოვი.** რადგანაც ერთ-ერთ ქართულ გაზეთში იყო ცნობა, ვითომც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეა, ელიავას ეთქვას, რომ საჭიროა შემოუერთდეს საქართველოს ჩამოშორებული აჭარისტანის ნაწილი,—ამხ. ელიავამ ს. ს. რ. კ. გარეშე საქმეთა კომისარიატის ბეჭდვითა განყოფილებას დაავალა უარყოს ეს ცნობა რომელიც დამყარებულია მისი აზრის სწორედ არ გაგებაზედ. ამხ. ელიავამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა მცირე ერების მიმართ, განსაკუთრებით განაპირა ადგილებში, უნაკლო უნდა იყოს და მაგალითი გახდეს ყველა სხვა ხალხებისათვის, როგორც მაგალითად, ამხ. ელიავამ აღნიშნა ჩვენი მუშაობა აჭარისტანში“.

**მუშათა მოძრაობა**

**სამხედრო დისციპლინის დარღვევისაკენ მოწოდებისათვის**

**პარიზი.** კომუნისტი-დეპუტატი მარუჩი სამართალში მიცემული და ბრალად ედება, ვითომც გაზეთ „კონევრი“-ში გამოქვეყნებულ წერილებში იგი სამხედრო დისციპლინის დარღვევისაკენ მოუწოდებდა.

**მიდოლის კანდიდატურა**

**პარიზი.** საფრანგეთის კომპარტიის სენის ორგანიზაციამ დაადგინა მუნიციპალიტეტის დამატებითი არჩევნებში წამოაყენოს მიდოლის კანდიდატურა.

**საფრანგეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ზრდა**

**პარიზი.** პარიზში შესდგა საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის სენისა, სენო მარნისა და სენო უაზის ორგანიზაციების ყრილობა, რომელზედაც აღნიშნა ორგანიზაციის ზრდა და ახალგაზრდობაში პროპაგანდის გაძლიერება.

გერმანეთის კომუნისტური ახალგაზრდობის წარმომადგენელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გერმანეთის კომუნისტები ამზადებენ მუშათა მასებს მომავალ ბრძოლისათვის და ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს მუშაობას საფრანგეთის ახალგაზრდობის შორის, რომელიც ავსებს არმიის რიგებს.

**მთელი პასუხისმგებლობა შემთანხმებლებს**

**პარიზი** საფრანგეთის სამთამადნო წარმოების უნიტარისტ-მუშათა კონგრესმა დაადგინა განაახლოს სამშაბათს მუშაობა, თუ ამავე წარმოების რეფორმისტი-მუშები. ორშაბათს არ შეუერთდებიან გაფიცვას. მთელი პასუხისმგებლობა გაფიცვის უნაყოფობისათვის ეკისრებათ რეფორმისტებს.

**ამერიკა მოითხოვს ვალებს**

**ნიუ-იორკი.** ამერიკის მთავრობა აპირებს შეეკითხოს საფრანგეთსა და სხვა „მოვალეებს“ შეერთებულ შტატების ვალების გადახდის შესაძლებლობის შესახებ.

**გაფიცვები და გლეხთა მღელვარება.**

**ტოკიო.** (იაპონია). ცნობებია, რომ კუნძულ კიუ-სიუსი და იბარაკის საქირხონო ოლქში დაიწყო გაფიცვები. ზიბეს ოლქში იფეთქა გლეხთა მღელვარებამ

**კოალიციის საკითხი**

**ვარშავა.** (პოლონეთი) უკიდურეს მემარჯვენეთა და ვიტოსის გლეხთა ჯგუფის კოალიცია იშლება. ქრისტიანი დემოკრატები, იყენებენ რა ფართო კოალიციის გეგმას, რეზოლიუციაში აღნიშნავენ, რომ აგრარიების ჯგუფისა და ქრისტიან დემოკრატების კავშირი დროებითი ბლოკი იყო არჩევნების დროისათვის. ვიტოსმა კვლავ განაცხადა, რომ იგი მზადაა გადადგეს, თუ შესაძლებელი იქნება ფართე კოალიციის დაარსება. მემარცხენე პარტიებთან შეთანხმების მიზნით, ვიტოსის მომხრეები „პეპეესის“ დეპუტატების ბობროესკისა და სტანჩიკის პროკურატურისათვის გადაცემის წინააღმდეგ წავიდნენ. არსებობს ორი გეგმა მთავრობის შესაქმნელად: ვიტოსის, დმოვსკისა, „ვიზვოდენიესა“ და პეპეესის ჯგუფების კოალიცია და მეორე—ამავე ჯგუფების კოალიცია, ხოლო პეპეესის მაგივრად შეჰყავთ დემოკრატია ორივე შემთხვევაში უკიდურესი მემარჯვენენი იზოლიაციაში რჩებიან. ახალ „საქმიან მთავრობის“ სათავეში, ამბობენ, ჩადგება ფინანსთა ყოფილი მინისტრი ვლადისლავ გრაბსკი. დღევანდელ მთავრობის დაცემას ამ დღეებში ელიან.

# ყოფილ დაშნაკელთა სრულიად სომხეთის ყრილობა

**ერევანი. 21 ნოემბერი.** გუშინ სახელმწიფო თეატრის დარბაზში გაიხსნა სრულიად სომხეთის ყოფილ დაშნაკთა ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ დელეგატები რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან; დელეგატთა რიცხვი 200 კაცს აღემატება.

ყრილობა გახსნა ზანგეზურის დელეგატმა, ყრილობის მომწვევ საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარემ, ბაკუნცმა. მიესალმა რა ყრილობას, ბაკუნცმა თავის შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა ყრილობის დიდ ისტორიულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ დაშნაკცუტიუნის პარტიის 33 წლის ისტორიაში დღეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სომხეთის დაშნაკცუტიუნის პარტიის უბრალო წევრებს საშუალება აქვთ თავისუფლათ შეიკრიბონ და გამოსთქვან თავისი აზრები და სურვილები დაშნაკთა შეფების გავლენისა და ძალდატანების გარეშე.

„ყრილობის წინაშე, სთქვა ბაკუნცმა, სდგას უდიდესი მნიშვნელობის საკითხები. ჩვენს წინ სდგას პარტიის 33 წლის მოღვაწეობა და მის მიერ წარმოებულ პოლიტიკის დამღუპველი შედეგები; ჩვენი მოვალეობაა მათი ხელახალი გადაფასება მოვახდინოთ და ეს უნდა მოხდეს თავისუფალი შეგნებისა და ხებისყოფის გამომჟღავნების საშუალებით. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ დაშნაკთა პარტიამ მოიხადა სოციალიზმის ნიღაბი; სოციალიზმის სახელით პარტიის ლიდერები ათეული წლების განმავლობაში გვატყუებდენ და გვაბრმავებდენ ჩვენ. ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა საზღვარგარეთელ დაშნაკელთა შეფების ვენის კონფერენციამ, რომელზედაც დაშნაკცუტიუნი საბოლოო გადავიდა საერთაშორისო ფაშიზმის ბანაკში. ამ ისტორიულ დღეებში, დაამთავრა ბაკუნცმა, როდესაც შრომა და კაპიტალი ბრძოლის საბოლოო ფაზაში შევიდენ, ჩვენთვის, სომხეთის ყოფილ დაშნაკთათვის, ნათელი უნდა იყოს, როგორია ჩვენი გზა: რევოლიუციასთან თუ კონტრ-რევოლიუციასთან“.

ბაკუნცის სიტყვები დაფარა მხურვალე აპლოდისმენტებმა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ გუმბრის, ნორბაიზეტის, ეჩმიაძინის, ქამარლიუს და სომხეთის სხვა მაზრების წარმომადგენლები, და აგრეთვე ყოფილ დაშნაკთა მუშების წარმომადგენლები, რომელნიც ბაქოდან ჩამოვიდენ; მათი სახელით მეტად მგრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მუშა ვაგანმა, რომელიც მიესალმა სომხეთის ყოფილ დაშნაკებს და მათ საინიციატივო ბიუროს. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქამარლიუს წარმომადგენლის ყოფილი დაშნაკელის სიტყვამ. მან დაშნაკთა პარტია დაახასიათა, როგორც პარტია, რომელსაც ცალ ხელში ეჭირა ხმალი, მეორე ხელით კი ის თხრიდა თავისთვის სამარეს და ამ სამარეში უნდა იქნეს ის ეხლა დასაფლავებული.

ახალგაზრდა დაშნაკთა წარმომადგენელმა თავის მისასალმებელ მიტყვაში განაცხადა:

„ჩვენ არ უნდა მოვკლათ დაშნაკცუტიუნი, ჩვენ მხოლოდ ფორმალური მხარე უნდა მივცეთ მის სიკვდილს, რადგან ის დიდი ხანია უკვე მოკვდა“.

მისასალმებელ სიტყვების შემდეგ ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს.

**ყოფილ დაშნაკთა საინიციატივო ბიუროს მოწოდება.**

სომხეთის ყოფილ დაშნაკთა ყრილობის გახსნის გამო, საინიციატივო ბიურომ 16 წევრის ხელის მოწერით გამოუშვა მოწოდება, რომელიც მიმართულია ყველა ყოფილ დაშნაკელებისადმი:

„სომხეთის ყოფილ დაშნაკთა ყრილობამ თავისი უკანასკნელი გადამწყვეტი სიტყვა უნდა უთხრას დაშნაკთა ლიდერებს; ყრილობამ უნდა შეაფასოს პარტიის წარსული მოღვაწეობა და გამონახოს ახალი გზა ყოფილ დაშნაკთა მასებისათვის. სომხეთის ყოფილ დაშნაკთა მასა წავა ოქტომბრის რევოლიუციის წითელი გზით, რადგან ის ღრმად დარწმუნებულია, რომ სომხეთის მშრომელთა ბრწყინვალე მომავალს დაამყარებს მხოლოდ საბჭოთა წესწყობილება. ყრილობა მოწვეულია არა იმისათვის, რომ ქება-დიდება შევასხათ საბჭოთა წესწყობილებას, და აგრეთვე არა დროსა და გაზეთის მაგვარ დაშნაკელების გამართლებისათვის, არამედ იმისთვის, რომ სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ პარტიის მიერ წარმოებული პოლიტიკა და გამოვიმუშაოთ ახალი გზა, რომელიც უფრო მისაღები იქნება დაშნაკთა მასისათვის. მხოლოდ ამ გზით შეუძლია დაშნაკთა მასას წინსვლა, მხოლოდ ასეთი საშუალებით შეუძლია მას ეზიაროს ქვეყნის აღმშენებლობით მუშაობას და წინააღმდეგობა გაუწიოს კონტრ-რევოლიუციონერებს, რომელნიც სცდილობენ ხელი შეუშალონ სომხეთის მშრომელი ხალხის მშვიდობიან შრომას“.

# ახალი ამბები

— **განათლების მუშაკთა სახლში.** შაბათს 24 ნოემბერს საღ. 5 საათზედ პოლიტეკონომიის წრის სხდომა სომხურ ენაზე ამხ. არუთინოვის ხელმძღვანელობით. საღ. 8 საათ. ამხ. რებრუხის მოხსენება: მე-100 სკოლის საზაფხულო მუშაობის ცდები.

კვირას 25 ნოემბერს საღ. 5 საათზე ტეხნიკურ თანამშრომელთა პოლიტწრის მეცადინეობა ქართულ ენაზე.

ორშაბათს 25 ნოემბერს საღ. 7 საათ. ფიზიკო-მათემატიკური სხდომა რუსულ ენაზე. სამშაბათს 27 ნოემბერს საღ. 5 საათ. გეოგრაფიისა და საბუნებისმეტყველო წრეში მეცადინეობა ქართულ ენაზე. საღ. 7 საათ. ფიზიკო-მათემატიკურ წრეში მოხსენება ქართულზე.

ოთხშაბათს 28 ნოემბერს საღ. 8 საათ. შესდგება პედაგოგიურ ბიუროს სექციის და წრეების ხელმძღვანელთა გაერთიანებული სხდომა, დღის წესრიგშია: საექსკურსიო ბიუროს მუშაობის გეგმა.

ხუთშაბათს 29 ნოემბერს საღ. 6 საათ. სკოლაში არსებულ საბავშო ბაღების ხელმძღვანელთა წრის მეცადინეობა ქართულ ენაზე.

ოთხშაბათს 2 დეკემბერს საღ. 7 საათ. მარქსისტული [illegible] № 1 მორიგი მეცადინეობა ამხ. სნეგიროვის ხელმძღვანელობით.

— **ერთდროული დახმარება საქ. პროფკავშირთა საბჭოს.** ქ. აღმასკომმა დაადგინა საქ. პროფკავშირთა საბჭოს მიეცეს ერთდროული დახმარების სახით 1000 მან ჩერვონცით პროფკავშირთა კლუბების, წყლის, და განათების ვალების გასასტუმრებლად.

— **სტუდენტთა საერთო ბინის შესახებ.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა რომ მუნიციპალიზაცია ქნილი სახლთა რიცხვიდგან გამოიყოს სახლი, საბინავო მუშათა კოოპერატივის დირექსის შეთანხმებით და გადაეცეს პროლეტარულ სტუდენტთა დამხმარე ბიუროს საერთო საცხოვრებელ ბინის გასახსნელად და ეძლიოს სუფსიდია საცხოვრებელ სახლების შესანახად.

— **სტიპენდიის დანიშვნა.** ქ. აღმასკომმა დაადგინა დაენიშნოს პროლეტარულ სტუდენტებს, სტიპენდია, 3 სტიპენდია სახელ. უნივერ. და 3 მუშათა ფაკულტეტზე.

— **აგრონომების ყრილობა.** აგრონომების ყრილობა, რომელიც მოწვეულ იყო მიწ. მოქ. კომ. მიერ დასრულდა 20 ნოემბერს.

— **ხელოვნურ ხელფეხის გასაკეთებლად.** ინვალიდების არტელთა წარმომადგენლების კრებამ დაადგინა: ინვალიდებისათვის ხელოვნური ხელფეხის გასაკეთებლად არტელის მოგებიდან გადასდოს საჭირო თანხა.

— **ტფ. საბჭოს არჩევნებისათვის.** მანგლისის რაიონში დასრულდა სოფლის საჭიროების არჩევნები. დელეგატებად ტფილისის საბჭოში არჩეულია 11—კაცი.

— **ლტოლვილთა საქმების გადასაწყვეტად.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: თავის წარმომადგენლად ლტოლვილთა საქმების გადასაწყვეტად კონსტანტინოპოლში დაინიშნა ამხ. გ. შავერდოვი.

— **დაზღვევის ახალი კანონები.** სოც. დაზღვევის სამმართველოს კოლეგიამ დაამტკიცა დაზღვევის ახალი წიგნაკების პროექტი, წიგნაკი განზრახულია დაიბეჭდოს 50 000 ცალი და დაურიგდეს ყველა დამზღვევ კასებს. ტფილისში დროებით დარჩება ძველი სახის წიგნაკები.

— **სასტატისტიკო დარგის გაუმჯობესება.** სოც. დაზღვევის სამმართველომ თავის სტატისტიკო მუშების გასაუმჯობესებლად დაადგინა აღნიშნულ განყოფილების შტატი გაადიდოს სპეციალისტებით.

— **დახმარების გაგრძელება.** სოც. დამზღვევის სამმართველომ დაადგინა დროებით უნარ დაკარგულებს საჭიროების მიხედვით გაუგრძელდეს დახმარების მიცემა და მათზე არ იქნეს გავრცელებული ის დადგენილება, რომლის მიხედვით დაზღვეულ უმუშავრებს დახმარება ეძლევათ მხოლოდ 6 თვით.

— **დამზღვევ კასების რიცხვი საქართველოში.** საქართველოში არსებულ დამზღვევი კასები შემცირებული იქმნა 7-ით ამ ჟამად მთელ რესპუბლიკაში არსებობს 18 დამზღვევი კასა და 34 საექიმო დახმარების პუნქტი.

— **პროექტი—პასუხისმგებელ თანამშრომელთა შესახებ.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი პასუხისმგებელ თანამშრომლების შესახებ, რომელთაც უკვე აქვთ პასუხისმგებელი ადგილები დაწესებულებებში.

— **მეტრიული სისტემის შემოღება ა. კ. რკინის გზაზე.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა, ა. კ. რკინის გზის სამმართველოს რომ 1 იანვრიდან ა. კ. რკინის გზის ყველა გზაზე შემოიღოს მატერილურ სისტემის ანგარიში.

— **შრომის ბირჟა** 22 ნოემბერს შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადდა—14 უმუშ. გაიგზავნა სამუშავოზე 55—მოთხოვნილება იყო 32 მუშის.

**შემთხვევები.**

— **ბინის გაქურდვა.** 21 ნოემბერს დილის 12 საათზე ყორღანოვის ქ. № 2 ში, გაქურდული იქნა მოქ. ალექსანდრე პრედეის ბინა. საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ტანსაცმელი ღირებული 1 მილიარდი 700 მილ. მან.

— **ცეცხლი.** 21 ნოემბერს საღამოს 8 საათზე სახალხო სამხატვრო შენობას გაუჩნდა ცეცხლი, მიღებულ ზომებით მალე იქმნა ჩაქრობილი. ზარალი არ არის.

— **სავაჭროს გაქურდვა.** 20 ნოემბერს 19 თებერვლის ქუჩაზე № 80-ში გაქურდულ იქნა მიხეილ დანელიანცის პაპიროსის სავაჭრო, საიდგანაც წაღებულია დამზადებული პაპიროსები ღირებული 8 მილიარდ მანეთის.

— **ქურდობა.** 19 ნოემბერს გაქურდული იქნა მოქ. გარი სუხანოვის ბინა საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები. ღირებული სამ მილიარდ მანეთისა.

— **ქურდის შეპყრობა.** 20 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. აიდინ ხაჯი-ოღლი, რომელსაც ბრალდებოდა ჯანმრთელობის კომისარიატიდან კხენების მოპარვა, რაშიაც გამოტყდა.

— **ბოროტმოქმედის შეპყრობა.** 20 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. ელენე კუტერმანი რომელსაც ბრალი ედებოდა ბინისგაქურდვაში რაშიაც იგი გამოტყდა.

— **თავის მოკვლა.** გუშინწინ, 22 ნოემბერს, საღამოს 6 საათზედ „ზაკროსტას“ საინფორმაციო განყოფილების გამგემ ი. კ. გურსკიმ რევოლვერი ესროლა თავის ცოლს და, ყვირილით „მე მოვკალი ცოლი“, თითონაც მოიკლა თავი. გურსკის ცოლი მსუბუქად არის დაჭრილი.

— **სამკურნალო დახმარება მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს.** დამზღვევმა კასამ დაადგინა: სამკურნალო დახმარება გაუწიოს იმ დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეების და უმუშავართა ოჯახების წევრთ, ვინც წლოვანობით არ აღემატება 16 წელს. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იყოს მარტო შრომის უნარის უქონლობის დროს. ეს დადგენილება არ ვრცელდება დაზღვეულთა ცოლზე და დედ მამაზედ.

— **დასასვენებელი სახლები.** სოხუმის პროფკავშირთა საბჭომ განიზრახა პროფკავშირთა წევრებისათვის მოაწყოს დასასვენებელი სახლები. პირველი სახლის გახსნა განზრახულია ახალ-ათონში.

— **მიწის ძვრა.** 18 ნოემბერს, დღის 2 საათზედ სოხუმში მოხდა მიწის ძვრა, რომელსაც თან სდევდა მიწის ქვეშ გუგუნი.

— **ინვალიდების არტელების წარმომადგენლების კრება.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში 20 ნოემბერს შესდგა ტფილისში მომქმედი ინვალიდების არტელების წარმომადგენლების საერთო კრება. კრებამ დაადგინა ყველა არტელებმა სასწრაფოთ მოახდინონ სათანადო გადარიცხვა წმინდა მოგებიდან და ასეთი გადარიცხვიდან შემოსული თანხა გადასცენ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ინვალიდებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, დამატებით კრებამ დადგენილება მიიღო ინვალიდებისათვის ხელოვნური ხელ-ფეხების გასაკეთებლად მოგებიდან გადადოს საჭირო თანხა.

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამხ. ფ. მახარაძის წერილში არის დაშვებული შემდეგი კორექტურული შეცდომა. სწერია „არ არის ერი, არ არის ეროვნება“ უნდა იყოს „რა არის ერი, რა არის ეროვნება“.

— **ვალიუტის კურსი.** 22 ნოემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 157.000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 151,000 | „ |
| ჩეკი. | 150,000 | „ |
| დოლარი ეფექ. | 35,000 | „ |
| ჩეკი. | 33,000 | „ |
| ოსმალური ლირა | 17,500 | „ |
| საბჭოთა ფული | 14,000 | „ |

# პარტიაში

დღეს, ნოემბრის 24, საღამოს 5 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიკომის სასწრაფო სხდომა.

დღეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია ტფილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

# ბიბლიოგრაფია

**ორკვირეული, სამხატვრო ჟურნალი „დროშა“ № 1 და 2.**

ყოველ ახალ ქართულ ჟურნალ-გაზეთისა და წიგნის გამოცემას დღეს საქართველოში, შეგნებული მოქალაქე ერთგვარი სიხარულით უნდა შეხვდეს.

ჩვენში თავიდანვე დიდი სურვილი იყო ჟურნალის გამოცემისა სისტემატიურად, მაგრამ ალბად უმთავრესად მატერიალურ სივიწროვის გამო არ ხერხდებოდა და დღემდე საქართველოში იშვიათად გამოსულა ისეთი ჟურნალი, რომლის არსებობაც მეორე ან მესამე ნომერზე არ შეჩერებულიყოს.

ეხლა ჩემს წინ ძევს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული, მოზრდილი ფორმატის 32 გვერდიანია ჟურნალ „დროშის“ № 1 და 2. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჟურნალი მეტად სუფთად და ლამაზათაა გამოცემული და საუცხოვო თეთრ ქაღალდზეა დაბეჭდილი. პირველ ნომრის ყდაზე არ არის ჟურნალის სახელი სათანადო ხელოვნებით აღბეჭდილი, მართალია, მაგრამ სამაგიეროდ ეს ნაკლი გამოსწორებულია მეორე ნომრით, —რომელზედაც თავისუფლათ გაშლილია წითელი დროშა და ლამაზი ასოებით აღბეჭდილი მისი სახელი.

ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორია ამხ. მ. კახიანი.

ორივე ნომერში ბლომადა ჩართული სხვა და სხვა ფოტოგრაფიული სურათები, როგორც ცნო

ბილ პიროვნებების, ისე სხვა და სხვა წარმოებებისა და ქართულ ჯარის ნაწილების, მაგრამ ამ მხრივ ყველაზედ უფრო საყურადღებოა „დროშის" მეორე ნომერი, სადაც სხვათაშორის მოთავსებულია ცნობილ ქართველ მხატვრის ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული მხატვრობა და ახალგაზრდა მხატვარ აპ. ქუთათელაძის მიერ შესრულებული სურათი რევოლიუციონურ გურიის ცხოვრებიდან—არა ლეგალური მუშაობა.

მეტად სასურველია რომ სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალში ასეთ ნაწარმოებთა გამოფენას კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს და ამით გაათლებულ იქნეს სახელწოდება ჟურნალისა.

გადავიდეთ თვითეული ნომრის ცალკე განხილვაზე.

„დროში"-ს პირველი ნომერი იხსნება მეთაურ წერილით—„ჩვენი დროშა"—რომელიც მოუწოდებს ყოველ სალათ მოაზროვნე ქართველ მწერალს ჟურნალ „დროშის" ირგვლივ შემოკრებას და სამსახურს-ლიტერატურული გზით—მშრომელ კლასისას. ავტორი სამართლიან გულისტკივილით აღნიშნავს რომ „დღეს ჩვენ ლიტერატურაში ახალი არაფერი იქმნება, დღეს ყოველი პოეტი, ყოველი მწერალი თითქოს ცდილობს თავი არ შეიწუხოს და სწერს პატარ-პატარა ლექსებს—გამომხატველს ამა თუ იმ მწერლის სულიერ და პირად განცდისას" და ამის მიზეზათ ასახელებს მას, რომ „ვინც მოკვდა პოლიტიკურად და ეკონომიურად, მას არ შეუძლია იცოცხლოს ლიტერატურაში და მით უმეტეს—მხატვრულ ლიტერატურაშიო".

ამ ნომერში (დასასრული მეორეშია) მოთავსებულია მიხ. ადამაშვილის მოთხრობა „კვაჭი კვაჭანტირაძე", რომელშიდაც დახასიათებულია გაიძვერა კაცის ტიპი კვაჭანტირაძის სახით და როგორც ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოები—არაუშავს. ალაგ ალაგ არის უხეირხული გამოთქმები. აღსანიშნავია აკაკ. ს. კაჩიანის მოგონება:—„ოქტომბრის რევოლიუცია". და რ. კალაძის წერილი „ეგნატე ნინოშვილი" მისი თხზულებათა სრული გამოცემის გამო. არის მშვიდობანი მოგონება ალ. ყაზბეგის შესახებ—თედო სახოკიასი. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ინტერესი ჩანს ქართველ საზოგადოებაში მე-XIX საუკ. ჩვენი მწერლების შესწავლა-გამოკვლევისა და ყოველ მოგონების გამოქვეყნებას, განსაკუთრებით ისეთისას, რომელიც რაიმე ახალ მასალას გვაძლევს მწერლის ბიოგრაფიისათვის—დიდი ყურადღებით და სიხარულით უნდა შევხვდეთ...

ამავე ნომერში მოთავსებულია აგრეთვე საყურადღებო წერილი: „ფრიდრიხ ენგელსი, როგორც პოეტი" და თარგმნილია ვ. გ—ს. მიერ ენგელსისვე ლექსი-პოემა—„სალამო" ბევრისთვის ალბად პირველი გაგონება იქნება—ენგელსის მიერ ხელოვნურ ნაწარმოების შეთხზვა!

ლექსი დიდებულად თარგმნილი. იმავე გ. გ—ს. მიერ თარგმნილია გერმანულ ექსპრესიონისტების ლექსები:—ფრანც ვერფელის „მკითხველს" და ვალტერ ჰაზენკლევერის—„შური მაძიებელი". სხვა წერილთა შორის აღსანიშნავია ს. კ—ძის „ახალი მიღწევანი ძველ ქართულ მწერლობის ისტორიაში". პირველ ნომერში მოთავსებულია ალ. შანშიაშვილის ახალი ისტ. დრამა „სპარტაკ"-ის პირველი მოქმედება, რომელიც, ალბად, სისტემატიურად დაიბეჭდება ჟურნალში. პოეტ ზომლეთელსა და სანდრო ეულს—უკანასკნელ ლექსებში ეტყობათ წინსვლა. 32 გვერდზე მოთავსებული „სამ ცხენთა სანაშენეს მოკლე მიმოხილვა სრულებით უადგილოა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალში. ეს პირველ ნომრის შესახებ.

მეორე ნომრის,—როგორც ვთქვი, ყდა გაუმჯობესებულია სათანადო წარწერით. ლიტერატურული მხარე კი, სამწუხაროდ ამას არ ამართლებს. არ ვიცი რით აიხსნება და „დროშის" მეორე ნომერი უფრო პოლიტიკურ წერილებითაა სავსე, ვიდრე ლიტერატურულით, მაგ. გ. დევდარიანის წერილი „ექვსი წელი ბრძოლისა და გამარჯვების" იდენ ადგილს არ უნდა იჭერდეს—სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალში—რადგან მას შედარებით ნაკლებ აქვს საქმე ლიტერატურა მხატვრობასთან—ვიდრე პოლიტიკასთან... ამით სავსებით არ მინდა ისაკვირველია ვთქვა, თითქოს მწერლობა—ლიტერატურა პოლიტიკის „გარეშე იდგეს". ვიმეორებ. ეს ნომერი უფრო პოლიტიკურ ხასიათის მატარებელია და ბევრი შიგ მოქცეული მასალა—უფრო ყოველდღიურ გაზეთებისთვის იქნებოდა გამოსადეგი. აღსანიშნავია, ცნობილ ოლვარე ახნაგის ი. გედევანიშვილის ამოხაწერი მოთხრობათა სერია „წარსული და აწმყოსაგან" ძველი და ახალი. აქ დახასიათებულია, თუცაა გაკვრით, მაგრამ მაინც—ქართველ ჯორისკაცის სახიხელი ყოფა ყინულოვან ჩრდილოეთში, უცხოთა ტლანქ მოპყრობისას, ჩავარდნილი ხიროთავათ გადაგვარებულ, თანამემამულე ბოროტის ხელში, რომელიც იდენათ დამახინჯებულია თავისი „ოფიცერობით" რუსული „პრიკაზით", რომ მიუხედავათ იმისა, რომ მან იცის რა სისაძაგლესაც ჩადის. როცა თავის ხელქვეითს უდანაშაულოთ სჯის, მას სინიდისიც კი ქეჯნის—მაგრამ... მაგრამ ხათრს ვერ უტეხს „კოლეგებს" და თავის უხეშ მოქცევას კიდევ უფრო აღრმავებს... მეორეს მხრივ—ცოცხალი, მუშა-გლეხური ქართველური ტემპერამენტი ვერ ეგუება კახდელაძის სახით—უხეშ მოქცევას და ის მურს იძიებს თავის შეურაცხმყოფელზე წუთიერ აღელვების დროს.

ეს წინათ. ეხლა კი, როცა ძალაუფლება მის ხელში გადავიდა და უფროსის შეურაცხყოფისათვის ციმბირში ნაწამები კანდელაძე შინ ბრუნდება ყვავკომისარი და მას ხელში უვარდება მისი ყოფილი უფროსი—ის რაინდულ სულგრძელობით აძლევს ბარათს სამშობლოში დაბრუნებისას და ეუბნება:—წარსული დავივიწყოთ, ოღონდ აწი მოიქეცი ადამიანურადო, და თან დასძენს: „ჩვენ საქართველოში შევხვდებით ერთმანეთს და მაშინ დავრწმუნდები, რამდენათ ღირსი იქნებით ჩემი ასეთი მოპყრობისაო"...

პოეტებში აღსანიშნავია—ზომლეთელის „ქალაქის დილა" და სანდრო ეულის „ცეცხლის რკალებში". კარგია აგრეთვე წერილი ი. ლიტვინოვის ლენინი. მხატვრობის მხრივ—№ 2 ამშვენებს განსაკუთრებით ზემოთნახსენები ორი სურათი—ნახატი გუდიაშვილისა და მეორეც ქუთათელაძის.

ამ ნომერშივე არის ცნობა და სურათებიც ფარაონ ტუტანხამონის აკლდამის აღმომჩენის კარნარვონისა და აღმოჩენილ ზოგ ნივთების. მეტათ სასიამოვნოა ასეთი ცნობებისა და სურათების მოწოდება ქართველ მკითხველისათვის...

როგორც ვთქვი, ახალი ჟურნალის გამოცემა მეტათ სასიამოვნოა დღეს ჩვენთვის და რადგან გამოცემა უკისრია სახელმწიფო გამომცემლობას, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი არსებობა არ იქნება ჩვეულებრივ ხანმოკლე ერთის მხრივ და მეორეს მხრივ—რედაქცია ყურადღებას მიაქცევს თითონ ჟურნალის ლიტერატურულ მხარის კიდევ უფრო გამდიდრებას და გაჯანსაღებას.

დიდია დანიშნულება და მოწოდება ქართულ მხატვრულ-ლიტერატურულ პროლეტარულ ჟურნალისა, ეს შეგნებული აქვს ალბათ როგორც რედაქციას, ისე გამომცემლობას და ჩვენი მხურვალე სალამი მას.

გ. შ.

## ხელოვნება

### სახელმწიფო საოპერო თეატრი

20 ამ. თვის ტფილისის საოპერო თეატრში განმეორდა ოპერა "კარმენი" ამსრულებლების ახალი შემადგენლობით.

მე არას გზით არ შემიძლიან ეს წარმოდგენა ჩავთვალო დამაკმაყოფილებლად. ეტყობა, კარმენის პარტიის ახალი ამსრულებელი ექსპრომტად მღეროდა, ავად გამხდარ მსახიობ ქალის რიბონეს (როგორც ანონსში იყო გამოცხადებული) მაგივრად კიევის ოპერის მსახიობი ქალი დრაგომირეცკაია, რომელიც ამ საღამოს ასრულებდა ოპერის უმთავრეს პარტიას—კარმენისას, ვერ ჩაითვლება ამ პასუხსაგებ და ძნელ პარტიის კარგ ამსრულებლად. მგონია, ბევრმა იცის, რომ არც ისე დიდი ხნის წინად კიევის ოპერა საუკეთესოდ ითვლებოდა პროვინციის ოპერებში (სატახტო ქალაქების შემდეგ) ეტყობა, კიევის აუდიტორიის მოთხოვნილებებს უკლიათ, თუ დასის შემადგენლობაში პირველი პარტიების emploi ზე იწვევენ ისეთ დაუმთავრებელ მომღერალსა და მსახიობს, როგორიც არის დრაგომირეცკის ქალი. კარმენის პარტიაში სცენიურ მხარეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს; ამასთანავე ეს პარტია ყველგან, და კერძოდ ჩვენში, მეტად ხშირად შესრულებულა და ამ პარტიაში ბევრი სხვა და სხვანაირი ხიჭის მსახიობი გვინახავს.

ამისათვის, ვისაც ჰსურს ტფილისის საზოგადოების წინაში გამარჯვება მოიპოვოს ამ პარტიაში, უნდა სრულიად დამთავრებულად შეასრულოს იგი, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრით დრაგომირეცკის ქალს კი არც ვოკალურის და არც სცენიურის მხრით არ შეუძლია დააკმაყოფილოს სერიოზული აუდიტორიის მოთხოვნილება. დრაგომირეცკის ქალის გადმოცემით, კარმენი მხოლოდ ვულგარული და უხეშია მაშინ, როდესაც სინამდვილეში, როგორც დრამის ისე ლიბრეტოს შინაარსით, კარმენი მეტად მოხდენილი და მიმზიდველია. ვოკალური გადმოცემაც დაუმთავრებელია; სიმღერაში საკლებად არის დინამიური ხაზები, გამოთქმა მკრთალია, მაღალი რეგისტრები მყვირალა და მოკლე სუნქვა, რაც შესაძლებლობას უსპობს ლამაზი დაბოლოვება მისცეს ბგერას. ეს შედეგია უხეირო სკოლისა, თორემ ბუნებით მომღერალს კარგი ხმა აქვს, განსაკუთრებით საშუალო რეგისტრში.

საჭიროა აგრეთვე მეტი სხვა და სხვაობა მისცეს მიმიკას.

არ შემიძლიან აგრეთვე კარგ შემსრულებლად ჩავთვალო ტორეადორის პარტიისა—მსახიობი ქარცივაძე, ამ პარტიის შესრულებას სჭირდება მეტი განვითარებული ტეხნიკა, თავისუფალი სიმღერა (ხმის გაუძლიერებლად) და მეტი გამჭვირვალეობა ბგერისა. საჭიროა აგრეთვე უკეთესი გამოთქმა (ფრაზიროვკა) და დიქცია ეტყობა, ქარცივაძე ავად იყო სიმღერის დროს. საჭიროა აგრეთვე მიმიკის მრავალ ფეროვნება.

მსახიობი მოსინი გამოცდილი მომღერალია და ხოზეს პარტია მას უფრო მეტად უდგება დრამატიულ ადგილებში, ვიდრე ლირიკულ ადგილებში. ამისთანა გამოცდილ მომღერალისაგან ჩვენ მაინც გვინდა უფრო მხატვრული აღსრულების მოსმენა არ ვიცი რად ხმარობს ასე ბოროტად მოსინი fermaxo-ს—ეს ვერ არის მხატვრული.

მუსიკალურად მღერის თავის პატარა პარტიას მაზოვეცკის ქალი, მე 2 მოქმედების არია შესრულებულია გაწყობილებით.

მსახიობი დემიანენკომ—ტუნიგამ, როგორც მუდამ, დამთავრებული სცენიური სახე მოგვცა, ვოკალური მხარე ნაკლებად მისაღებია.

ტიპიური კონტრაბანდისტია მსახიობი ქურხული, რატომ არ აძლევენ ამ მომღერალს უფრო პასუხსაგებ პარტიას?

მუსიკალურად მღერის მორანესის პარტიას მსახიობი ვენაძე.

ორკესტრი ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით ლამაზ მელოდიურ სურათსა და ბევრ დინამიურ ადგილებს იძლევა. კარგად იყო შესრულებული მე-3 მოქმედების შესავალი და ანტრაქტი მეოთხე მოქმედების წინ.

ცეკვა კარგად იყო დადგმული. განსაკუთრებით კარგად ცეკვავენ პირველი მოცეკვავენი ანდრეევისა და ლოსოვის ქალები (უკანასკნელის ცეკვა ამოღებულია „ბრაზილიის მარგალიტიდან".) საჭიროა მხოლოდ სასტიკად აეკრძალოთ მოცეკვავეთ კივილი ცეკვის დროს—შესაძლებელია ეს სინამდვილესთან ახლოც იყოს, მაგრამ ვერ არის მხატვრული.

პ. ბებუთაშვილი.

---

რეჟისორი აკაკი ფალავა ამზადებს სახელმწიფო საოპერო ინსტიტუტის დრამატიულ სტუდიაში დასადგმელად ტლერის პიესას: „ადამიანი თუ მასსა!", თარგმანი შ. ალხაზიშვილისა, აკაკი ფალავას რედაქციით.

დეკორაციების ესკიზები ამ დადგმისათვის დამზადებულია მხატვარ ირაკლი გამრეკელის მიერ.

---

რეჟისორმა აკაკი ფალავამ მიიღო ლიუდვიგ ფულდას ახალი, სამ მოქმედებიანი კომედია „ვირის ჩრდილი", რომელიც დასავლეთ ევროპის სცენებზე დიდის წარმატებით იქმნა წარმოდგენილი. სიუჟეტი კომედიისა აღებულია ძველი საბერძნეთის ცხოვრებიდან, მაგრამ თანამედროვე ცხოვრების სატირას წარმოადგენს.

რეჟისორს ფალავას უნდა დასდგას ეს პიესა სახელმწიფო აკადემიურ დრამაში.

---

ახალი ინსცენირობა კლდიაშვილის „სამნიაშვილის დედინაცვლისა".

შალვა შარაშიძემ გაამზადა სასცენოდ დ. კლდიაშვილის ცნობილი მოთხრობა „სამნიაშვილის დედინაცვალი" 8 სურათად.

ხსენებული ინსცენირობა დამზადებულია სახ. აკ. დრამის სამხატვრო ნაწილის გამგე კ. მარჯანიშვილის წინადადებით.

„სამნიაშვილის დედინაცვალი" წარმოდგენილი იქნება სახ. აკ. დრამაში რეჟისორ აკაკი ფალავას დადგმით.

---

სახ. სათ. ინსტიტუტის დრამ. სტუდია ამზადებს კ. მარჯანიშვილის დადგმით პირველ ქართულ პანტომიმას „მზეთა-მზე" ს. ო. ვახვახიშვილისას.

---

**რუსთაველის თეატრი.** დღეს, 24 ნოემბერს, პროფკავშირის წევრთათვის წარმოდგენილი იქნება „ცხვრის წყარო" ლოპე დე-ვეგასი, თარგმანი კ. მაყაშვილისა, მუსიკა თ. ვახვაძიშვილისა. დეკორაციები ვ. სიდამონ-ერისთავისა, დადგმა კ. მარჯანიშვილისა, ბალეტი, მუსიკა, ხორო.

კვირას წარმოდგენილი იქნება მესამედ განახლების შემდეგ ზ. ანტონოვის ცნობილი კომედია: „მზის დაბნელება საქართველოში", კომედია 3 მოქმედებად. დადგმა კ. მარჯანიშვილისა, დეკორაციები მხატვარ ვ. სიდამონ-ერისთავისა.

---

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 24 ნოემბერს, წარმოდგენა პროფკავშირის წევრთათვის. წარმოდგენილი იქნება მეორედ ამ სეზონში „ფრა-დიავოლო". ოპერა 3 მოქმედებად, მუსიკა ობერისა. ბალეტს დასდგამს ბალეტმეისტერი ვ. დისკოვსკი. კვირას, 25 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ოპერა „აიდა" 5 მოქმედებად და 7 სურათად, მუსიკა ვერდისა.

---

**სახალხო სახლი.** ხვალ წარმოდგენილი იქნება ვ. შალიკაშვილის პიესა „უნიადაგონი" 4 მოქმ. დასდგამს რეჟისორი ი. ბარველი. მონაწილეობას იღებს წრის საუკეთესო ძალები.

---

**რუსული დრამა.** დღეს, 24 ნოემბერს, სახალხო სახლში რუსული აკადემიური დასის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება მესამედ ამ. სეზონში შექსპირის კლასიკური კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება", მოდერნისტული დადგმა. თანამედროვე კოსტიუმებით და მოწყობილებით. სიმებიანი ორკესტრის მონაწილეობით, დასდგამს რეჟისორი ფ. რადლინი.

---

**ლ. ზომმერის კონცერტი.** დღეს, 24 ნოემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში შესდგება პიანისტ ლ. ზომმერის კონცერტი, რომელიც პირველად გამოდის საჯაროდ თავისი დამოუკიდებელი კონცერტით. პროგრამაში შედის შემდეგი ნაწარმოებ[illegible]: „[illegible]" ბახ-ბუზონისა, სიმფონიური ეტიუდები (ვარიაციების ფორმით), შუმანისა. ლისტის „[illegible]" მიდან და „მეფისტო"-ვალსი. „[illegible]" შუმანისა, „ტყის მეფე" და „კამპანელლა" შუბერტისა.

---

**ცირკი.** ვიტალი ლაზარენკოს გასტროლი, სატირა-იუმორი და გრანდიოზული წარმოდგენა ახლად ჩამოსულ მსახიობთა მონაწილეობით.

---

**საბავშვო გამოცემათა გამოფენა.** ახლო ხანში ტფილისში გაიხსნება ფართო მასისათვის გასაცნობად საბავშვო პერიოდული გამოცემათა და ბავშვების ლიტერატურული შემოქმედების ნიმუშების გამოფენა.

---

**მუშათა ახალი კლუბი.** ამხ. ბაგ. მაჩაიძის სახელობის ახლად გახსნილ მელითონეთა კლუბთან შესდგა ქართული დრამატიული დასი მუშებისაგან. განზრახულია წარმოდგენების სისტემატიურად გამართვა.

---

**ახალგაზრდათა თეატრი.** მოკლე ხანში გაიხსნება ქართველ ახალგაზრდათა თეატრის სეზონი. თეატრის რეპერტუარში შედის კლასიკური და ყოფა-ცხოვრების პიესები.

---

**ადამიანი მასსა.** ახლო ხანში ქართული აკადემიური დასი წარმოადგენს პირველად ქართულ ენაზედ ტულლერის პიესას „ადამიანი მასსა" პიესას დასდგავს რეჟისორი მ. ქორელი, დეკორაციები მხატვარის კ. ზდანევიჩისა.

---

**ახალი კლუბი.** დღეს, 24 ნოემბერს, ტფილისში გაიხსნება საქართველოს პროფკავშირების კლუბი.

---

**ბალეტის საღამო.** კვირას, 25 ნოემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება დიდი საბალეტო საღამო ციციშვილისა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ ბალეტის საუკეთესო მოცეკვავენი. საღამოს პროგრამაში შედის საინტერესო ნომრები.

---

**ი. კ. ტარტაკოვის ძეგლისთვის** რუს კომპოზიტორმა ა. კ. გლაზუნოვმა თხოვნით მიმართა ტფილისის სახელმწიფო თეატრების მმართველობას რათა მათ მოკლე ხანში გამართონ წარმოდგენა-კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალიც მოხმარდება ამას წინედ ტრაღიკულად დაღუპული ოპერის ცნობილი მომღერლის ი. ვ. ტარტაკოვის ძეგლის აგებას.

---

**ახალი სურათი.** მხატვრებმა დ. გველესიანმა და ს. შალიკაძემ ამ დღეებში დაასრულეს რთული სურათისა, „სოციალისტური მოძრაობა მსოფლიოში". სურათი კალმით არის ნახატი, იგი მეტად შინაარსიანია და თავისი ასახვით იძლევა სოციალისტურ მოძრაობის წარმოშობა, განვითარება, გაძლიერების ისტორიას მთელს მსოფლიოში, სურათში მოცემულია სხვა და სხვა ქვეყნების რევოლიუციების რამოდენიმე ღირსშესანიშნავი მომენტები, სხვა და სხვა ეპოქის დროს, ამასთანავე დახატულია მსოფლიოს ყველა გამოჩენილი სოციალისტის, რევოლიუციონერის და ანარქისტის სახეები, და მრავალი რევოლიუციონური შინაარსის ეპიზოდები. და ერთი თვალის გადავლებით იძლევა კლასთა ბრძოლის სურათს თან და თანობით მისი განვითარებით. სურათი მეტად ნიჭიერად არის შესრულებული, იგი ჩასმული არის ქართულ ხუროთმოძღვრების ჩუქურთმოვან სვეტებიან თაღებში და კარგს შთაბეჭდილებას ახდენს, ამ შესანიშნავი სურათის გამოცემა უკისრია მთავარ პოლიტიკურ განათლების სამართველოს, რომელსაც განზრახვა აქვს რომ ეს სურათი დაფერადებული გამოსცეს [illegible] ცემა იქნება აკადემიური ხასიათისა და მის[illegible] დებას ახლო ხანში შეუდგებიან.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მომცეთ საშუალება განვაცხადო საყოველთაო ცნობისათვის თქვენის გაზეთის საშუალებით, რომ მე, 1919 წლიდან ფაქტიურ[illegible] ხოლო 1921 წ-ან ფორმალურადაც დავანებე თავი პოლიტიკური ხასიათის მუშაობას და მას შემდეგ ვეწევი მხოლოდ კულტურულ-განმანათლებელ მოღვაწეობას არსებული წეს-წყობილების ნიადაგზე.

**აკაკი ნესტორის ძე ფალავა.**

ქ. ტფილისი.
1923 წლის ნოემბრის 23.

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დავკარგე** პირადობის მოწმობა გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან ალექსანდრე ჰეიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

ტირაჟი [illegible] ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 849 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ში, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4.